



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Implemented by:

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH



საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030



საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030

ქრისტიან ბაუმგარტნერი
ლელა ხარტიშვილის მხარდაჭერით

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა
„კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“
© ფოტოებზე საავტორო უფლებები: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის
საზოგადოება (GIZ)

თბილისი, ნოემბერი 2020

სარჩევი

1. შესავალი	5
2. საფუძვლები	6
2.1. ეკოტურიზმის ზოგადი მნიშვნელობა	6
2.2. საქართველოს ეკოტურიზმის განმარტება	6
2.3. ეკოტურიზმის სახელმძღვანელო პრინციპები	7
2.4. ეკოტურიზმის სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოში	8
3. სტრატეგია	10
3.1. ხედვა	10
3.2. მიზნები 2030	10
3.3. ინდიკატორები	11
3.4. სამიზნე ბაზრები	12
3.5. სტრატეგიული ამოცანა	17
3.6. პრიორიტეტული ქმედებები და 2021-23 წლების სამოქმედო გეგმა	17
4. განხორციელება და მონიტორინგი	24
5. გამოყენებული ლიტერატურა და დანართები	25
5.1. გამოყენებული ლიტერატურა	25
5.2. დანართი 1: ლოგიკური სქემა	27
5.3. დანართი 2: ეკოტურიზმის დაინტერესებული მხარეები საქართველოში	42

სქემებისა და სურათების ჩამონათვალი

სქემა 1.	7
ეკოტურიზმის სისტემა, ადაპტირებულია ეკოტურიზმის პრინციპებზე ლ. ხარტიშვილის მიერ	
სქემა 2.	13
ეკოტურისტების სხვადასხვა სეგმენტი საქართველოში	

აკრონიმები

ADA	ავსტრიის განვითარების სააგენტო
APA	საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო
BMZ	გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
CNF	კავკასიის ბუნების ფონდი
DMO	დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები
GACC	ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
GEA	საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
GNTA	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
ICT	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
KFW	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი
LAPA	დაცული ტერიტორიების ადგილობრივი ადმინისტრაცია
MEPA	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MoESDG	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
NACHPG	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
NP	ეროვნული პარკი
NFA	ეროვნული სატყეო სააგენტო
PA	დაცული ტერიტორია
PSD TVET SC	სამხრეთ კავკასიის კერძო სექტორის განვითარებისა და პროფესიული განათლების პროგრამა
SMEs	მცირე და საშუალო საწარმოები
TIC	ტურისტული საინფორმაციო ცენტრები
TJS	ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო
TO	ტუროპერატორი

საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030

1. შესავალი

საქართველოს 2020-2030 წლების ეკოტურიზმის სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავდა GIZ-ის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (PSD TVET SC) პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში პასუხისმგებელი სამინისტორებისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით. პროგრამის მთავარი მიზანია მდგრადი ეკონომიკური განვითარების პირობების გაუმჯობესება დასაქმებისთვის რელევანტურ სექტორებში.

დოკუმენტი მოიცავს სტატუს-კვოსა და ბაზრის ანალიზის მცირე ნაწილებს, რაც მნიშვნელოვანია სტრატეგიის გასაგებად (ბაზრის სრული ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ ცალკე დოკუმენტის სახით: „ეკოტურიზმის ბაზრის პოტენციალის ანალიზი საქართველოში.“ საქართველოს 2020-2030 წლების ეკოტურიზმის სტრატეგიის საფუძველი) და შეესაბამება საქართველოს ტურიზმის ეროვნულ სტრატეგიას (2025), დაცული ტერიტორიებისა და ეროვნული სატყეო სააგენტოების ეკოტურიზმის განვითარების ხედვასა და სტრატეგიებს.

2020 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში COVID-19-ის გამო შექმნილმა სიტუაციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ სტრატეგიის შემუშავებაზე.

პროცესი დაიწყო თებერვალში. შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან (GNNTA, NFA, APA, ბიზნესის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები (CENN, WWF, TJS, CNF), საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა GIZ, ADA, USAID) რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, პროექტის სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა ძირითადი დეფინიციები, სტრატეგიის თავების ზოგადი მონახაზი, ლოგიკური ჩარჩოს ქმედებების ზოგიერთი კომპონენტი და განიხილა სტრატეგიაზე მუშაობის შემდგომი პროცესები.

2020 წლის აპრილისთვის გათვალისწინებული საბოლოო სამუშაო შეხვედრა, სადაც უნდა განხილულიყო შემუშავებული სტრატეგია, კერძოდ, ქმედებათა ლოგიკური ჩარჩოს საბოლოო ვერსია (მიზნები, ინდიკატორები და სტრატეგიული ამოცანები), ასევე, პრიორიტეტული ზომები, გაუქმდა და გადაიდო 2020 წლის შემოდგომისთვის.

შეხვედრა საბოლოოდ 2020 წლის ნოემბერში ვირტუალურად გაიმართა. განხილულ იქნა დასრულებული სტრატეგია და სამუშაო გეგმის ლოგიკური ჩარჩო, რომელმაც რამდენიმე უკუკავშირის შემდგომ სრულყოფილი სახე მიიღო.

გვინდა მადლიერება გამოვხატოთ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ეროვნული სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციისა და GIZ-ის მიმართ, რომელთა მხარდაჭერითაც შემუშავდა აღნიშნული სტრატეგია.

ქრისტიან ბაუმგარტენერი, ნოემბერი 2020

2. საფუძვლები

2.1. ეკოტურიზმის ზოგადი მნიშვნელობა

ეკოტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია ტურიზმის ინდუსტრიაში. დღეს ეკოტურისტული მოგზაურობების რიცხვი სამჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ზოგადად ტურიზმი¹. აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნებაზე მიუთითებს ბოლო წლების განმავლობაში ეკოტურისტული პროდუქტების მომხმარებელთა გაზრდილი ინტერესიც, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ სამომავლოდ ამ ბაზრის წილი კვლავაც გაიზრდება.

ეკოტურიზმი არის „მწვანე ტურიზმის“ სახეობა, რომელიც ხელს უწყობს მონყვლადი რეგიონების, გარემოსა და თემების შენარჩუნებას². ეს ნიშნავს პასუხისმგებლიან მოგზაურობას ბუნებაში, გარემოს დაცვასა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეკოტურიზმი წარმოადგენს დაბალი ზემოქმედების მქონე და, ხშირად, სტანდარდული, მასობრივი ტურიზმის ალტერნატივას³. ეს არის მდგრადი ტურიზმის ფორმა, რომელსაც გაცილებით შორსმომავალი მიზნები აქვს, ვიდრე უბრალოდ დანიშნულების ადგილზე მოგზაურობა.

ეკოტურიზმი ხალხზე, თემზე ორიენტირებული და ადგილობრივ რესურსებზე დაფუძნებული მახასიათებლებით მჭიდრო კავშირშია აგრო და თემზე დაფუძნებულ ტურიზმთან და მდგრადი განვითარების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

2.2. საქართველოს ეკოტურიზმის განმარტება

ვრცელი ვერსია:

„ეკოტურიზმი არის სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მქონე მოგზაურობის ფორმების, არამოტორიზებული აქტივობებისა და სერვისების ერთობლიობა, რომელიც გვთავაზობს ბუნებისა და კულტურების ინტერპრეტაციასა და გამოცდილების მიღებას და კარგი მართვის პირობებში გარემოზე დაბალი ზემოქმედებით ხასიათდება.“

ეკოტურიზმი ხელს უწყობს მოგზაურთა მიერ ბუნების აღქმასა და შემეცნებას და, ამასთან, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საკუთარი ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების დაფასებას. ამრიგად, ეკოტურიზმი ხელს უწყობს ბუნების შენარჩუნებას, ეკოსისტემის სერვისების მდგრად გამოყენებას, აქვს რეგიონალური დამატებითი ღირებულება და ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.“

მოკლე ვერსია:

„ეკოტურიზმი არის მოგზაურობა, ტურისტული აქტივობები და სერვისები, რომელიც ორიენტირებულია დაცულ ტერიტორიებზე და მის გარეთ ბუნებისა და ცოცხალი კულტურის შენარჩუნებასა და გამოცდილებების მისაღებად სათანადო პირობების შექმნაზე ადგილობრივი მოსახლეობისა და ქვეყნის სასარგებლოდ.“

1 Hultman, M.; Kazemina, A.; Ghasemi, V. Intention to visit and willingness to pay premium for ecotourism: The impact of attitude, materialism, and motivation. J. Bus. Res. 2015, 68, 1854–186

2 “What is Ecotourism? | The International Ecotourism Society”. www.ecotourism.org. Retrieved 2016-11-17


3 Balmford, A.; Beresford, J.; Green, J.; Naidoo, R.; Walpole, M.; Manica, A. A global perspective on trends in nature-based tourism. PLoS Biol. 2009, 7, e1000144

2.3. ეკოტურიზმის სახელმძღვანელო პრინციპები

ეკოტურიზმის საერთაშორისო საზოგადოებამ შეიმუშავა პრინციპების ერთობლიობა, ამ ტიპის მოგზაურობის უკეთ გაგება-გაცნობიერებისთვის. სწორედ ამ პრინციპების დაცვის მეშვეობით ახერხებენ ეკოტურისტები მდგრად ტურისტულ მოგზაურობას. მათი ჩამონათვალი ასეთია:

- ფიზიკური, სოციალური, ქცევითი და ფსიქოლოგიური ზემოქმედების შემცირება;
- გარემოსდაცვითი და კულტურული ცნობიერების ამაღლება და პატივისცემა;
- პოზიტიური გამოცდილების შეთავაზება როგორც ვიზიტორებისთვის, ისე მასპინძლებისთვის;
- კონსერვაციისთვის პირდაპირი ფინანსური სარგებელის უზრუნველყოფა;
- როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე კერძო სექტორისთვის ფინანსური სარგებლის მოტანა;
- სტუმრებისთვის პროდუქტის ინტერპრეტაციით დაუვინყარი გამოცდილების გაზიარება, რაც ხელს უწყობს მასპინძლის მიმართ ნდობის გაზრდას;
- ქვეყნების პოლიტიკური, ეკოლოგიური და სოციალური კლიმატის გათვალისწინება;
- მცირე ზემოქმედების მქონე ობიექტების შექმნა, მშენებლობა და ექსპლუატაცია;
- მოცემული საზოგადოების მკვიდრი მოსახლეობის უფლებებისა და სპირიტუალური რწმენის აღიარება და პარტნიორულ პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობის მეშვეობით, მათი შემდგომი გაძლიერება.

ეკოტურიზმის, როგორც პასუხისმგებლიანი მოგზაურობის როლი, ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იგი ცვლის ტურისტული დანახარჯების ნაკადის მიმართულებას. ეკოტურიზმიდან შემოსული მოგება სასიკეთოდ აისახება ადგილობრივ თემებზე, მაშინ როდესაც, მსხვილ ტურისტულ კომპანიებსა და ტუროპერატორებს ხშირად ადგილობრივებისთვის არანაირი სარგებელი არ მოაქვთ.



სქემა 1. ეკოტურიზმის სისტემა, ადაპტირებულია ეკოტურიზმის პრინციპებზე ლ. ხარტიშვილის მიერ

ეკოტურიზმის ბაზრის მზარდი ტენდენციისა და ტურისტების მოთხოვნის გათვალისწინებით, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება საქართველოს მოსახლეობის (მათ შორის ქალაქის მოსახლეობის) ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ტურიზმის არასათანადო მართვა, მრავალი შესაძლო უარყოფითი შედეგით, საფრთხეს უქმნის სოფლებს, დაცულ ტერიტორიებსა და ტყეებს. ეკოტურიზმი მოითხოვს ყოვლისმომცველ სისტემურ აზროვნებასა და განვითარებისადმი სისტემურ მიდგომას, რომელიც თანაბრად იქნება ორიენტირებული სხვადასხვა ქვესისტემებსა და კომპონენტებზე და გაერთიანდება მდგრადი განვითარების სამ ძირითად საყრდენში: გარემოსდაცვითში, სოციალურ-კულტურულსა და ეკონომიკურში.

2.4. ეკოტურიზმის სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოში

კავკასიის დაცულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა სახელმძღვანელო პრინციპები⁴, რომლებიც მიღებული და ინტეგრირებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების (ინდივიდუალურ) სტრატეგიებში. სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებს:

1) დაინტერესებული მხარეების⁵ ჩართულობა

- იდენტიფიცირდეს დაინტერესებული მხარეები, რომლებიც ჩართულნი არიან ეკოტურისტულ საქმიანობაში/ეკოტურისტული სერვისებისა და პროდუქტების ფორმირებისა და შეთავაზების პროცესში ან სამომავლოდ გააჩნიათ პოტენციალი, რომ ჩაერთონ ეკოტურისტულ საქმიანობაში. მხარეთა შორის ასევე მოიაზრებიან: ადგილობრივი ტურისტული ბიზნესები, ტუროპერატორები, მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი თემებისა და სხვა შესაბამისი ადგილობრივი ინტერესების წარმომადგენლები;
- შეიქმნას სტრუქტურა (მაგ., DMO-დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია ან სხვა რეგიონული ქსელი), რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების რეგულარულ ჩართვას ეკოტურიზმის დაგეგმვასა და მართვაში.

2) მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

- შეფასდეს ტურიზმის გავლენა გარემოსა და ადგილობრივ თემებზე და ზიანის გამორიცხვით უფრო მეტი ვიზიტორის მიღების შესაძლებლობა;
- გამოვლინდეს ეკონომიკური და სოციალური კონტექსტები, ადგილობრივი თემების საჭიროებებისა და მისწრაფებების ჩათვლით;
- დანიშნულების ადგილისთვის გაკეთდეს მრავალმხრივი ანალიზი კულტურული, ბუნებრივი და მატერიალური ფასეულობების შესახებ;
- შეგროვდეს უახლესი მონაცემები ვიზიტორებისგან, სადაც დაფიქსირებულია რიცხვები, წყაროები, ვიზიტის დროები, მონახულებული ადგილები, განხორციელებული აქტივობები და განცდილი კმაყოფილების ხარისხი.

4 Transboundary Joint Secretariat (2017): Ecotourism in and around Protected Areas in South Caucasus

5 კონკრეტული საკითხის მიმართ დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირები და ჯგუფები, სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ გავლენის მოხდენას სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებაზე. მაგალითად, ტურიზმის პოლიტიკის განხორციელების პროცესში დაინტერესებულ მხარეებად განიხილება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი, პროფესიული კავშირები, ბიზნესსექტორი, მედია და ა.შ.

3) ეკოტურიზმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

- ზემოაღნიშნულ პუნქტებზე დაყრდნობით განისაზღვროს გამტარუნარიანობა და მისაღები ცვლილებების ფარგლები, შემუშავდეს დანიშნულების ადგილისთვის ყოვლისმომცველი (ეკო) ტურიზმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- დაინტერესებული მხარეების კონსულტირებითა და ჩართულობით შემუშავებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეფასდეს დადებითად და დაიწყოს მისი განხორციელება;
- სამოქმედო გეგმა ხორციელდეს პროგრესისა და შედეგების მონიტორინგით და დაინტერესებულ მხარეებთან ანგარიშგებით.

4) ადამიანური რესურსები და შესაძლებლობების განვითარება

- ხელი შეეწყოს ადგილობრივი თემების, ბიზნესებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის შესაძლებლობების ზრდასა და უნარების განვითარებას, რათა მათ ისარგებლონ ეკოტურიზმის პოტენციალით და გააუმჯობესონ მომსახურებისა და პროდუქტის ხარისხი.

5) პროდუქტის განვითარება და უზრუნველყოფა

- რელიეფის თავისებურებების გათვალისწინებით, მოეწყოს სხვადასხვა სიგრძის ბილიკები, რომლებიც პასუხობს სხვადასხვა პოტენციური ბაზრის საჭიროებებს, უზრუნველყოფს დანიშნულების ადგილზე ეკოლოგიურად მგრძობიარე გზით (ფეხით, ველოსიპედით ან ცხენით) შესვლას და ამ ადგილის შესწავლის მრავალგვარ შესაძლებლობას;
- პროდუქტები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ეკოტურიზმის მახასიათებლებს (მაგ.: მობილური, ორხიდიანი, მაღალი გამავლობის ტრანსპორტი და ა.შ.) ჩანაცვლდეს ეკოტურისტული პროდუქტებით;
- სპეციფიკური და კრეატიული პროდუქტების შეთავაზება, რომლებიც ვიზიტორებს საშუალებას აძლევს გამოსცადონ და დააფასონ დანიშნულების ადგილის განსაკუთრებულობა. შეთავაზება ასევე მოიცავს ინტერპრეტაციას, გადასახედ წერტილებს, გიდის თანხლებით გასეირნებებს, ველური ბუნების დათვალიერების შესაძლებლობებს, სპეციალურ ღონისძიებებს და ა.შ;
- ბუნებრივი გარემოს მგრძობიარეობის გათვალისწინებით, შესაბამისი აქტივობის – სათავგადასავლო და ბუნებაზე დაფუძნებული პროდუქტების შეთავაზება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ჩართვა ეკოტურისტულ შეთავაზებებში;
- ადგილობრივი ნაწარმისა და ხელნაკეთობების გამოფენა-გაყიდვის ორგანიზების ხელშეწყობა;
- შესაძლებლობის ფარგლებში დაკმაყოფილდეს შემლუდულ შესაძლებლობების მქონე პირდა საჭიროებები.

6) მარკეტინგი და ინფორმაციის მიწოდება

- ეკოტურიზმის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა შემომყვანი და საერთაშორისო ტურ-ოპერატორებისათვის;
- დანიშნულების ადგილებზე და იქ არსებულ ეკოტურისტულ პროდუქტებზე ბეჭდური და ციფრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- ადგილობრივი ტურისტული ბიზნესების ეკოტურისტული შეთავაზებების შესახებ ინფორმირებულობის ხელშეწყობა;
- ქვეყნის ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიაში ეკოტურიზმის პროდუქტებისა და მომსახურების სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინება.

7) მონიტორინგი და უკუკავშირი

- ტურისტებთან რეგულარული უკუკავშირის გზით მათი პროფილის, ხარჯების, საქმიანობის, საჭიროებების თავმოყრა-შეფასება და განუვლი მომსახურებით კმაყოფილების დონის განსაზღვრა;
- ადგილობრივ ტურისტულ ბიზნესთან რეგულარული უკუკავშირის გზით ინფორმაციის მიღება მათი მუშაობისა და საჭიროებების შესახებ;
- ადგილობრივ გარემოსა და თემებზე ტურიზმის ზემოქმედების მონიტორინგისა და შეფასების რეგულარულად ჩატარება;
- მონიტორინგის შედეგების გამოყენება აქტივობების წარმართვისა და მოდიფიცირებისთვის და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიის გადასინჯვისას.

3. სტრატეგია

3.1. ხედვა

„2030 წლისათვის საქართველო იქნება წამყვანი, ეკოტურისტული ქვეყანა კავკასიის რეგიონში, რომელიც მისი მდიდარი ცოცხალი კულტურისა და ბუნების, აგრეთვე, მაღალი ხარისხის მომსახურების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ოთხივე სეზონის ეკოტურისტულ შეთავაზებებს.

ეკოტურიზმი საქართველოში უზრუნველყოფს ტურისტებისთვის ავთენტური გამოცდილების გაზიარებას, სარგებელი მოაქვს ადგილობრივი თემებისთვის და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას; ამავე დროს, იგი უზრუნველყოფს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში“.

3.2. მიზნები 2030

1. ავთენტური, მაღალი ხარისხის, ოთხივე სეზონის ტურისტული პროდუქტები და სერვისები განვითარებულია ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებისა და მდიდარი ცოცხალი კულტურის საფუძველზე, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით.
2. მარკეტინგი და კომუნიკაცია შეესაბამება ეკოტურიზმის სამიზნე ბაზრების მოთხოვნებს და ზრდის ვიზიტორების გარემოსდაცვით ცნობიერებას.
3. ეკოტურიზმის განვითარება ხელს უწყობს მისი ძირითადი რესურსების – ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებისა და მდიდარი ცოცხალი კულტურის გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნებას.
4. ეკოტურიზმის მართვა ყველა დონეზე ითვალისწინებს მულტისექტორულ, ინტერდისციპლინარულ და თანამონაწილეობრივ მიდგომას, რომელიც ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობას.

3.3. ინდიკატორები

		საბაზისო მონაცემები (2019)	2025	2030
მიზანი 1	მარკირებული საფეხმავლო და საგანმანათლებლო ბილიკების სიგრძე (კმ)	1551 კმ (68 ბილიკი)	1.722 კმ (78 ბილიკი)	1.822 კმ (88 ბილიკი)
	ეკოტურისტული პროდუქტის, შეთავაზებების რაოდენობა (ნელინადში)	3-4	50	75
	ბრენდირებული ეკოტურისტული სერვისებისა და პროდუქტების რაოდენობა	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი	4	6
	ეკოტურიზმისთვის შესაფერისი საწოლების რაოდენობა საოჯახო სასტუმროებში	0 (საოჯახო სასტუმროების 26.403 საწოლიდან)	1.300 (არსებული საწოლების 5%)	2.600 (არსებული საწოლების 10%)
	გარემოსდაცვით განათლებასა და/ან გილობისთვის გადამზადებულ პირთა რაოდენობა (მეტყველები, რეინჯერები, ადგილობრივი მოსახლეობა)	38 (რეინჯერები, ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტები, ბუნებრივი რესურსების სპეციალისტები)	70	90
მიზანი 2	საერთაშორისო მედიით გაშუქების რაოდენობა საქართველოში ბუნებასთან და კულტურასთან დაკავშირებულ თემებზე	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი	10	15
	ვიზიტორთა რაოდენობა ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრებში	1 199 011 ვიზიტორი (ბუნების ძეგლის ვიზიტორების ჩათვლით)	1.500.000	1.900.000
	ვიზიტორთა რაოდენობა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში	ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები: 329.653 (308.291 საერთაშორისო, 21.362 შიდა)	360.000	400.000
მიზანი 3	დაცულ ტერიტორიებს გარეთ ეკოტურიზმთან დაკავშირებული მართვის გეგმების მქონე ტერიტორიების სიდიდე(კმ ²)	19760 ჰა	353 982 ჰა	387781 ჰა
მიზანი 4	ეკოტურიზმის მართვის გეგმების რაოდენობა	1 + 12 დაცულ ტერიტორიაზე	4 + 20 დაცულ ტერიტორიაზე	9 + 20 დაცულ ტერიტორიაზე
	ნელინადში საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა	1	2	2

3.4. სამიზნე ბაზრები

ადამიანთა მოტივაციის განმსაზღვრელი ფუნქციების, საჭიროებებისა და ქცევების, ასევე, ეკოტურიზმის ჯგუფის არაერთგვაროვანი ხასიათის გათვალისწინებით, კვლევაში გამოყენებულია მომხმარებელთა სეგმენტაციის განმსაზღვრელი კომპლექსური მიდგომა. ყურადღება გამახვილდა როგორც ტურისტების გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ და ქცევით მახასიათებლებზე, ისე გაცილებით რთულ „მეორადი სეგმენტაციის ფაქტორებზე“, მოგზაურთა ფსიქოგრაფიულ მახასიათებლებზე, – როგორცაა გრძნობებიდან, ფასეულობებიდან, დამოკიდებულებებიდან და ემოციებიდან მიღებული მოტივაციები. გარდა ამისა, APA-ს სტატისტიკის საფუძველზე, გათვალისწინებულია შიდა ბაზრის ძირითადი მახასიათებლები, რომლის შედეგად სამიზნე ბაზარს კიდევ ერთი ჯგუფი დაემატა – ბუნების მოყვარული ტურისტები და რეკრეანტები (პასიური დამსვენებლები).

ამრიგად, ეკოტურიზმის ბაზრის სეგმენტაციისთვის ჩვენ მივმართეთ შერეულ მეთოდებს და გამოვიყენეთ ცდისგან დამოუკიდებელი (a priori) და ცდაზე დაფუძნებული აპოსტერიორული (posteriori) სეგმენტაციური მიდგომები⁶:

- ცდისგან დამოუკიდებელი, აპრიორული ცოდნა ემყარება ტურისტულ სეგმენტაციას – სქესის, ასაკის ან ეთნიკური ჯგუფების/ეროვნების (გეოგრაფიული და დემოგრაფიული მახასიათებლები), მოგზაურობის ხარჯების, მოგზაურობის ტიპების (ქცევითი მახასიათებლები)⁷ მიხედვით.
- აპოსტერიორული მიდგომა, სამოტივაციო ჯგუფების ანალიზის ყველაზე საიმედო მეთოდი, ემყარება მომხმარებელთა კმაყოფილებასთან და ქცევასთან მჭიდროდ დაკავშირებულ, სამომხმარებლო ემოციების მიხედვით გაფართოებულ სეგმენტაციას, ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, უშუალოდ უკავშირდება ყიდვის მიზნებს.

საქართველოში ეკოტურიზმის შესაძლებლობებს აქვს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის მოზიდვის პოტენციალის (იხ. სქემა 2), რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული ძირითადი მოტივაცია, საქმიანობა და სხვა მახასიათებლები. სტრატეგიისა და სპეციალური ღონისძიებების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია ამ სამიზნე ჯგუფების შესახებ მკაფიო სურათის მიღება.

⁶ აპრიორული ცოდნა ან დასაბუთება მიიღება გამოცდილებისგან დამოუკიდებლად; აპოსტერიორული ცოდნა ან დასაბუთება დამოკიდებულია გამოცდილებაზე ან ემპირიულ მტკიცებულებებზე, როგორც ეს ხდება მეცნიერების უმეტეს ნაწილსა და პიროვნულ ცოდნაში: APA-სა და GNTA-ის მიერ მოწოდებული ვიზიტორების კვლევა, ტურიზმის მარკეტინგის კვლევითი დოკუმენტების ანალიზი (ტურიზმის მარკეტინგის ანალიზი, APA-სა და NFA-ს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტები).

⁷ APA-სა და GNTA-ის მიერ მოწოდებული ვიზიტორების კვლევა, ტურიზმის მარკეტინგის კვლევითი დოკუმენტების ანალიზი (ტურიზმის მარკეტინგის ანალიზი, APA-სა და NFA-ს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტები)



სქემა 2. ეკოტურისტების სხვადასხვა სეგმენტი საქართველოში

მახასიათებლები განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ:

- რა ტიპის გამოცდილებას ეძებს ტურისტი
- რა ტიპის მომსახურება ესაჭიროება ტურისტს
- როგორია მოგზაურობის პერიოდი
- როგორ ხდება ტურისათვის მომზადება

ინდივიდუალური მოგზაურები:

■ ახალგაზრდა და ზრდასრული მარტოხელები და წყვილები



ამ სეგმენტში შემავალი ვიზიტორები არიან: სტუდენტები და ახალგაზრდა პროფესიონალები, რომლებიც დამოუკიდებლად და ბავშვების გარეშე მოგზაურობენ. ეს ნაწილი მოიცავს ინდივიდუალურ მოგზაურებს, წყვილებს, მეგობრებს ან ორ ან მეტ წყვილს. ისინი შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. „მაგარ“ და „მსუბუქ“ ბუნების მოყვარულ ტურისტებად, რომელთაც გამოკვეთილად ძლიერი გარემოსდაცვითი დამოკიდებულება გააჩნიათ. ისინი ფიზიკურად აქტიურები არიან და სიამოვნებას იღებენ გამოწვევებისგან; გეგმავენ და მოგზაურობენ ტუროპერატორების გარეშე. ამ ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ინტერნეტში.

ეს ბაზარი პერსპექტიულია ადგილობრივი მომსახურების მომწოდებლებისთვის, მათ შორის დაცული ტერიტორიის ვიზიტორთა მომსახურების მომწოდებლებისთვის.

- ინტერესის სფერო: გართობა, ბუნება და თავგადასავალი (სპორტი, რეკრეაციული აქტივობები).
- საჭირო მომსახურება: იაფი განთავსება, ალჭურვილობა და ინფრასტრუქტურა (ბანაკები, თავშესაფრები და ა.შ.).
- მოგზაურობის პერიოდი: გრძელი საფეხმავლო ბილიკები, ძირითადად რამდენიმე დღიანი ან ხანგრძლივი შაბათ-კვირის ვიზიტები, უმეტესად შვებულების დროს, ზამთრის არდადეგების ჩათვლით.
- ტურის დაგეგმვა: ინტერნეტი, ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია, რეკომენდაციები, რომლებიც ხელმისაწვდომია კომერციულ ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში, მობილური ტექნოლოგიის გამოყენება. ისინი საკუთარ მოგზაურობას თვითონ გეგმავენ, რათა მისგან რაც შეიძლება რეალური გამოცდილება მიიღონ.

■ ოჯახი ბავშვებით



ეს სეგმენტი მოიცავს 60 წლამდე ასაკის ვიზიტორებს, მინიმუმ ერთი 18 წლამდე ასაკის ბავშვით. ესენი არიან ოჯახები, რომელთათვისაც პრიორიტეტულია მათი შვილების ბედნიერება და გართობა. ისინი შეიძლება ჩაითვალოს ჩვეულებრივ ბუნების მოყვარულ ტურისტებად, რომლებსაც მოგზაურობის დროს ბუნებასთან მჭიდრო კონტაქტი აქვთ. დასასვენებლად მათ გარკვეული დონის კომფორტი სჭირდებათ. ისინი, ასევე, ხშირად სტუმრობენ ეროვნულ პარკებს პიკნიკისა და მსუბუქი აქტივობებისთვის და, როგორც წესი, ითხოვენ ბუნების ინტერპრეტაციისა და საგანმანათლებლო ტურებს.

- ინტერესის სფერო: ბუნება, თავგადასავლები გარე სპორტულ აქტივობებთან ერთად, რომლებიც გათვლილია მოზრდილებსა და ბავშვებზე, სოციალური აქტივობები, კულტურა და განათლება.

- საჭირო მომსახურება: საოჯახო სასტუმროები, საოჯახო სახლები, ასევე, კარვებისა და თავშესაფრების ქირაობა. ორგანული პროდუქტები ადგილობრივი სოფლებიდან.
- მოგზაურობის პერიოდი: სასკოლო არდადეგები (ძირითადად ზაფხულში, თუმცა ბოლო დროს ზამთარშიც) ან შაბათ-კვირას.
- ტურის დაგეგმვა: ინტერნეტი, კომერციულ და სოციალურ ვებგვერდებზე ხელმისაწვდომი რეკომენდაციები, მობილური ტექნოლოგიის გამოყენება.

■ ხანდაზმული მოგზაურები



ეს სეგმენტი წარმოადგენს 60 წელს გადაცილებულ მოგზაურებს, ძირითადად პენსიონერებს, რომელთაც აქვთ ბევრი დრო დასვენებისთვის, სტაბილური შემოსავალი და, გამოცდილებიდან გამომდინარე, რაიმე განსაკუთრებულის მოლოდინიც. ისინი შეიძლება ჩაითვალოს მსუბუქ (soft) და პასიურ ეკოტურისტებად, რომლებსაც მოსწონთ ეკოტურიზმი და ტრადიციული არდადეგები. აღნიშნული კატეგორიის მოგზაურები ეძებენ სოციალიზაციას და გარკვეული დონის კომფორტს საჭიროებენ.

მათ უყვართ ახალი ტურისტული მიმართულებები და გამოცდილებები.

- ინტერესის სფერო: გამაჯანსაღებელი ტურიზმი, სოციალური ცხოვრება, კულტურა და განათლება, ე.წ. “lifestyle” პროდუქტები გასტრონომიითურთ.
- საჭირო მომსახურება: კომფორტული საოჯახო სასტუმროები; ორგანული პროდუქტები ადგილობრივი სოფლებიდან; ეს ადამიანები შეიძლება იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც საჭიროებენ ხელმისაწვდომობას და დახმარებას (მოცემულ ეტაპზე მათთვის ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული).
- მოგზაურობის პერიოდი: ტურისტული სეზონი (მაისი - ოქტომბერი).
- ტურის დაგეგმვა: ინტერნეტი, კომერციულ და სოციალურ ვებგვერდებზე ხელმისაწვდომი რეკომენდაციები, მობილური ტექნოლოგიის გამოყენება.

ორგანიზებული ჯგუფები (ძირითადად დაცულ ტერიტორიებზე)

■ კონკრეტული მოგზაურობით დაინტერესებული მცირე ჯგუფები



ეს სეგმენტი „ორგანიზებული მოგზაურები“ და ბუნების მოყვარული ტურისტები და რეკრეანტები, არიან ტუროპერატორების ნიშური 5-15-კაციანი.

საბაზრო ჯგუფები; ისინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ თემატური ბილიკების მიმართ.

- ინტერესის სფერო: ფრინველებზე დაკვირვება, კულტურა და განათლება, ჯომარდობა, ე.წ. “lifestyle” პროდუქტები გასტრონომიითურთ.
- საჭირო მომსახურება: კომფორტული საოჯახო სასტუმროები; სასტუმროები; საპიკნიკე ლანჩბოქსები; ინტერპრეტაცია; ინფორმაცია დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციების სპეციალისტებისგან და პროფესიონალური გიდის მომსახურება.

- მოგზაურობის პერიოდი: მოკლე, 1-3-დღიანი ვიზიტები ტურისტული სეზონის განმავლობაში (მაისი – ოქტომბერი).
- ტურის დაგეგმვა: მათ შესაძლოა დაჯავშნონ მოგზაურობა საერთაშორისო ტურისტული კომპანიების ან უშუალოდ ადგილობრივი ტუროპერატორების მეშვეობით. მოგზაურობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოცემულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდზე.

■ კორპორატიული ჯგუფები და საგანმანათლებლო დაწესებულებები



ამ კატეგორიის ჯგუფისთვის ტარდება ექსკურსიები ან სასწავლო პრაქტიკა დაცულ ტერიტორიებზე და მის გარეთ. მოცემულ შემთხვევაში, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები პირდაპირ უთანხმდებიან უნივერსიტეტებს/სკოლებს და მათ სთავაზობენ საგანმანათლებლო პროგრამებსა და აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობენ ცნობიერების ამაღლებას. ეს ჯგუფები ძირითადად ადგილობრივი ტურისტებისგან შედგება, თუმცა არსებობს

მათი რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზრამდე გაფართოების პოტენციალიც.

- ინტერესის სფერო: კულტურა და განათლება; სოციალური საქმიანობა; გართობა და აქტიური დასვენება; სამეცნიერო კვლევა. სტუდენტური ჯგუფები დაინტერესებული არიან როგორც ცოდნის მიღებით ეკოსაგანმანათლებლო პროგრამებიდან, ისე სტაჟირების შეთავაზებით პარკების ადმინისტრაციებისგან.
- საჭირო მომსახურება: ხანგრძლივი დასვენებისთვის განსაზღვრული საზაფხულო ბანაკები, რომლებსაც გააჩნიათ ძირითადი ტურისტული ინფრასტრუქტურა და სასწავლო პროგრამების კომპლექსური გზამკვლევები. ინტერპრეტაცია, ინფორმაცია სპეციალისტებისა და რეინჯერებისგან.
- მოგზაურობის პერიოდი: 10 დღე – 2 კვირა ზაფხულში (ივნისი-ივლისი).
- ტურის მომზადება: პროგრამაზე დაფუძნებული ღონისძიებები, უნივერსიტეტებსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შორის გაფორმებული შეთანხმებები. სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია შემთხვევებზე დაფუძნებული კურსები.

შიდა ბაზარი:

■ ბუნების მოყვარული ტურისტები



ეს ბაზარი მომავალში ეროვნული პარკებში დომინირებული ბაზარი გახდება. ბუნების მოყვარულ ტურისტებს წარმოადგენენ ბუნებასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ზრდასრულები და ოჯახები, რომელთაც აქვთ მხოლოდ რეკრეაციული მიზნები: პიკნიკები და გართობა. ისინი არ გამოირჩევიან აქტიურობით, არ მოგზაურობენ დიდ ჯგუფებში მეგობრებისა და ნათესავებისგან განცალკევებით და ხარჯავენ ნაკლებს განთავსებასა და სხვა მომსახურებებზე.

3.5. სტრატეგიული ამოცანა

სტრატეგიული ამოცანა 1.1:	ეკოტურიზმის მაღალხარისხიანი შეთავაზებებისა და პროდუქტების განვითარების ხელშეწყობა, ეკოტურიზმის პრინციპებზე დაფუძნებული და საერთაშორისოდ აღიარებული კრიტერიუმების შესაბამისად (ეკოტურიზმის სტრატეგია, თავი 2.4)
სტრატეგიული ამოცანა 1.2:	სხვადასხვა ტურისტულ მიმართულებაზე, მათ ბუნებრივ თუ კულტურულ ღირებულებებზე მორგებული, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა და მართვა
სტრატეგიული ამოცანა 1.3:	სხვადასხვა არეალისთვის, მათი ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა სახის საინტერპრეტაციო და საგანმანათლებლო სერვისების განვითარების ხელშეწყობა
სტრატეგიული ამოცანა 1.4:	ეკონომიკური სარგებლიანობის გაზრდა ადგილობრივი და რეგიონული მასშტაბით ეკოტურისტული შეთავაზებების მეშვეობით
სტრატეგიული ამოცანა 1.5:	ეკოტურისტული სერვისებისა და პროდუქტების განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის წახალისება და მხარდაჭერა
სტრატეგიული ამოცანა 2.1:	ეფექტური, მიზნობრივი ორგანიზაციული და მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება
სტრატეგიული ამოცანა 3.1:	ეკოტურისტული რესურსების გადამეტებული გამოყენებისა და განადგურების თავიდან აცილება
სტრატეგიული ამოცანა 4.1:	საზოგადოების, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობების თანამშრომლობა

3.6. პრიორიტეტული ქმედებები და 2021-23 წლების სამოქმედო გეგმა

ყველა სტრატეგიულ ამოცანას აქვს რამდენიმე პრიორიტეტული ქმედება, რომელთაგან თითოეულზე პასუხისმგებელია ჩართული ინსტიტუციებიდან ერთ-ერთი.

პრიორიტეტული ქმედებებისთვის, განხორციელების პირველი ეტაპისთვის, რომელიც მოიცავს 2021-23 წლებს, შემუშავდა კონკრეტული აქტივობების ჩამონათვალი. ეს აქტივობები ეფუძნება მონაწილე ინსტიტუციების (GNTA, NFA, APA, GEA) 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმებსა და მათ ფინანსურ რესურსებს.

მიზანი	სტრატეგიული ამოცანები	პრიორიტეტული ქმედებები	შესრულების ვადები
1. ავთენტური, მაღალი ხარისხის, ოთხივე სფეროს ტურისტული პროდუქტები და სერვისები განვითარებულია ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებისა და მდიდარი ცოცხალი კულტურის საფუძველზე, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით	1.1 ეკოტურიზმის მაღალ-ხარისხიანი შეთავაზებებისა და პროდუქტების განვითარების ხელშეწყობა, ეკოტურიზმის პრინციპებზე დაფუძნებული და საერთაშორისოდ აღიარებული კრიტერიუმების შესაბამისად (ეკოტურიზმის სტრატეგია, თავი 2.4)	1.1.1. ისტორიულ-კულტურული რესურსების ინვენტარიზაცია სახელმწიფო ტყის ტერიტორიებზე	2022-2023 2022
		1.1.2. ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების (ტბები, ჩანჩქერები, მღვიმეები და ა.შ.) ინვენტარიზაცია სულ მცირე ორი სატყეო სამსახურის ტერიტორიაზე	2022 2022-2023
		1.1.3. არსებულ საერთაშორისო კრიტერიუმებზე დაყრდნობით ეკოტურიზმის ეროვნული სტანდარტების შემუშავება და მათი დანერგვის ხელშეწყობა	2022 2023 2023
		1.1.4. სტრატეგიის დაინტერესებული მხარეების შეთანხმების საფუძველზე ეკოტურისტული და სალაშქრო ბილიკების გეგმარების, განვითარების, მშენებლობისა და მართვის ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება	2021 2021 2021 2022
		1.1.5. რეკრეაციული ტყით სარგებლობის პროექტების შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება	2022
		1.1.6. ტყის ტერიტორიებზე ეკოტურიზმის / რეკრეაციული განვითარების გეგმების შემუშავება სუთი მუნიციპალიტეტისთვის	2021 2021
		1.1.7. ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში (ეროვნული პარკები, კურორტები, მათ შორის ზამთრის კურორტებიც), ძირითადად დასახლებული პუნქტების მიმდებარე ტერიტორიებზე ეკოტურისტული ბილიკების (წრიული და მოკლე) კვლევა და მონიშვნა	2022 2022 2022-2023

მიზანი	სტრატეგიული ამოცანები	პრიორიტეტული ქმედებები	შესრულების ვადები
		1.1.8. სულ მცირე ხუთი საგანმანათლებლო (თემატური, ამბის გადმოცემა (storytelling)) მარშრუტის შემუშავება	2022 2022-2023
		1.1.9. სალაშქრო ბილიკების, მათ შორის დაცული ტერიტორიების დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკების განვითარება	2021-2023
	1.2 სხვადასხვა ტურისტულ მიმართულებაზე, მათ ბუნებრივ თუ კულტურულ ღირებულებებზე მორგებული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა და მართვა	1.2.1. ლანდშაფტისა და ბუნების შესაბამისი ეკომეგობრული მშენებლობის შიდა სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება; (ბუნებისთვის უსაფრთხო მასალები, სეპტიკური ტუალეტები, მსუბუქი კონსტრუქციები, ტყისა და ეროვნული პარკების შემოგარენში გამოსაყენებლად)	2022-2023
		1.2.2. ინფრასტრუქტურის განვითარება (ვიზიტორთა ცენტრების შექმნა ყველა ეროვნულ პარკში, ვიზიტორთა რეგისტრაციის პუნქტები, გასაყიდი პუნქტები და ა.შ.; ხიდები, ნიშნები, საინფორმაციო დაფები ნიშნებისა და ტურისტული ქცევების შესახებ, ა.შ.) ბილიკებსა და ტურისტულ ადგილებში ბუნებრივი ძეგლების დასაცავად და ცნობიერების ასამაღლებლად.	2021-2022
		1.2.3. ტყიან ტერიტორიებში ათი ობიექტის მომზადება რეკრეაციული ტყითარგებლობისთვის, ასევე საფეხმავლო ბილიკების მონაცვობა	2022-2023 2021
		1.2.4. სულ მცირე ერთი ბილიკის შემუშავება შესაბამისი ინფრასტრუქტურით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის	2022-2023

მიზანი	სტრატეგიული ამოცანები	პრიორიტეტული ქმედებები	შესრულების ვადები
		1.2.5. რეგულარული მონიტორინგის საშუალებით დაცულ ტერიტორიებზე არსებული საფეხმავლო ბილიკების შენარჩუნება (ხიდები, მარკირება, ბილიკები და ა.შ.)	2021-2022
	1.3 სხვადასხვა არეალისთვის, მათი ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა სახის საინტერპრეტაციო და საგანმანათლებლო სერვისების განვითარების ხელშეწყობა	1.3.1. ეკოტურისტული მიმართულების მქონე სერვის-პროვაიდერებისთვის (მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, მათ შორის საოჯახო სასტუმროების მფლობელები) ტრენინგების ორგანიზება მათი ბიზნეს-მენეჯმენტის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთდება კომუნიკაციაზე, უცხო ენაზე, ბიზნესის დაგეგმვაზე, ფასების განგარიშებაზე, მომსახურების ხარისხის სტანდარტებზე, ბუღალტრულ აღრიცხვაზე, ფინანსურ დაგეგმვასა და (ციფრულ) მარკეტინგზე	2022
		1.3.2. DMO-დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის, TIC-ტურისტული საინფორმაციო ცენტრისა და VC-ვიზიტორთა ცენტრის პერსონალის გადამზადება უნარ-ჩვევების, კულტურული ღირებულებების დაფასებისა და ამ კულტურის ეფექტური ინტერპრეტაციის გაუმჯობესების მიზნით.	2021-2023
		1.3.3. ტრენინგის განხორციელება თემაზე "ბილიკის მართვა და მარკირება"	2021
		1.3.4. გარემოს დაცვისა და ტურის გაძღოლის საკითხებზე სატრენინგო პროგრამებისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება	2022-2023

მიზანი	სტრატეგიული ამოცანები	პრიორიტეტული ქმედებები	შესრულების ვადები
		1.3.5. სულ მცირე ერთი ეკოტურიზმის თემატური საგანმანათლებლო პროდუქტის შემუშავება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის (კერძოდ, ბავშვებიანი ოჯახებისთვის, სტუდენტებისთვის, ხანდაზმული მოგზაურებისთვის და ა.შ.).	2023
		1.3.6. სულ მცირე ერთი „ნიშური“ პროდუქტის შემუშავება (მაგ., გეოლოგიური, ბოტანიკური ტურები და ველური ბუნების დაკვირვება) ტურისტების, მეცნიერებისა და მკვლევარებისთვის	2022-2023
	1.4 ეკონომიკური სარგებლიანობის გაზრდა ადგილობრივი და რეგიონული მასშტაბით ეკოტურისტული შეთავაზებების მეშვეობით	1.4.1. ადგილობრივი ტრადიციული წარმოების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა (ხელნაკეთობები, პროდუქტები, არამატერიალური პროდუქტის კომპონენტები: ადგილობრივი ხალხური ნაგებობები, პროდუქტის დამუშავებისა და შენახვის ტრადიციული გზები, ქართული სტუმართმოყვარეობა)	2021-2022
	1.4.2. სულ მცირე ერთი (საპილოტე) პროექტის შემუშავება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა დაინტერესებული მხარე, ეკოტურიზმის მიმზიდველობების გასაუმჯობესებლად და მხარდასაჭერად, ეკონომიკური სარგებლის მოსატანად და ვიზიტორების გამოცდილების ხარისხის ასამაღლებლად	2022-2023	
	1.5 ეკოტურისტული სერვისებისა და პროდუქტების განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის წახალისება და მხარდაჭერა.	1.5.1. დარგთაშორისი სავლევ კვლევების განხორციელება, სამუშაო შეხვედრების (ვორქშოფის) ორგანიზება	2022

მიზანი	სტრატეგიული ამოცანები	პრიორიტეტული ქმედებები	შესრულების ვადები
		1.5.2. სერვისის მიმწოდებლების თანამშრომლობის (ნეთვორქინგის) წახალისება პროდუქტის გაყიდვისა და გარემოსდაცვით საკითხებზე	2023
2. მარკეტინგი და კომუნიკაცია შეესაბამება ეკოტურიზმის სამიზნე ბაზრების მოთხოვნებს და ზრდის ვიზიტორების გარემოსდაცვით ცნობიერებას.	2.1 ეფექტური, მიზნობრივი ორგანიზაციული და მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება	2.1.1. გარკვეულ დაცულ ტერიტორიებზე ეროვნული პარკის ვიზიტორებისთვის სასამღვრო ნებართვის რეგულაციების მონესრიგება	2022-2023
		2.1.2. ეკოტურიზმის მომწოდებლებისთვის პროდუქციის დისტრიბუციის არხების განვითარება ICT ინოვაციური ტექნოლოგიების (მაგ. ციფრული თხრობა და ა.შ.), სასარგებლო აპლიკაციებისა და ონლაინპლატფორმის (ვებგვერდი) საშუალებით, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკული ინფორმაციის გავრცელებას ეკობილიკების, ტურებისა და მომსახურების მომწოდებლების შესახებ	2021-2023
		2.1.3. საქმიანი ურთიერთობების დამყარება შუამავლებთან (DMO-დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები, ტუროპერატორები, ბიზნესასოციაციები და ა.შ.) და ერთობლივი აქტივობების განხორციელება ეკოტურისტული მიმართულებებისა და ეკოტურების პოპულარიზაციის მიზნით	2021-2023
		2.1.4. წამახალისებელი აქციის ორგანიზება, რაც გაზრდის ეკოტურიზმის მომსახურების საშუალებების ობიექტებზე ყოფნის ხანგრძლივობას, განსაკუთრებით ეკოაგრომეურნეობებში	2022-2023

მიზანი	სტრატეგიული ამოცანები	პრიორიტეტული ქმედებები	შესრულების ვადები
		2.1.5. საერთაშორისო ბილიკების პოპულარიზაცია, როგორცაა ამიერკავკასიის და ტრანსსასაზღვრო ბილიკი	2021
		2.1.6. ეკოტურისტული პროდუქტების სპეციალური სარეკლამო ღონისძიების ორგანიზება (მაგ., ბუნების მეგობრების ჯილდო)	2021-2023
3. ეკოტურიზმის განვითარება ხელს უწყობს მისი ძირითადი რესურსების – ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებისა და მდიდარი ცოცხალი კულტურის გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნებას.	3.1 ეკოტურისტული რესურსების გადამეტებული გამოყენებისა და განადგურების თავიდან აცილება	3.1.1. ვიზიტორთა მართვის გეგმის შემუშავება სულ მცირე ერთი ეროვნული პარკისთვის, რომელიც ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედებისა და ვიზიტორების გამტარუნარიანობის შეფასებას	2023
		3.1.2. შესაბამისი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება გონივრულად და ეფექტურად მუშაობისთვის.	2022-2023
4. ეკოტურიზმის მართვა ყველა დონეზე ითვალისწინებს მულტი-სექტორულ, ინტერდისციპლინარულ და თანამონაწილეობრივ მიდგომას, რომელიც ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობას	4.1 საზოგადოების, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობების თანამშრომლობა	4.1.1. სათემო ტურიზმის (CBT) პრინციპების გათვალისწინებით, ადგილობრივი მოსახლეობის ეკოტურიზმის განვითარების პროცესში მონაწილეობისთვის რეკომენდაციების შემუშავება	2023
		4.1.2. სამიზნე მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების ჩართულობის მექანიზმის შემუშავება	2021-2023

4. განხორციელება და მონიტორინგი

ეკოტურიზმის ზემოხსენებული სტრატეგიის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი რამდენიმე ინსტიტუცია და პირი ითანამშრომლებს და ხელს შეუწყობს საქართველოში მდგრადი ეკოტურიზმის განვითარების საერთო მიზანს.

ამ აუცილებელი ერთობლივი ძალისხმევის მიუხედავად, ბუნებრივია, ძირითადი პასუხისმგებლობა ტურიზმზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას ეკისრება.

საკოორდინაციო კომიტეტის დაარსება, მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების მიერ განხორციელების ეტაპის მუდმივ, ერთობლივ მონიტორინგს. საკოორდინაციო კომიტეტი იკრიბება წელიწადში ორჯერ, ფიზიკურად ან ვირტუალურად.

მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან:

- GNTA (წამყვანი)
- NFA
- APA
- GEA
- GIZ – როგორც პროცესის მხარდამჭერი
- საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიზნით მრჩეველთა საბჭოში შეიძლება მოიწვიონ დამატებითი პროფესიული ასოციაციები, ექსპერტები და სხვა დონორი ორგანიზაციები

საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის საკოორდინაციო კომიტეტი:

- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია იწვევს საკოორდინაციო კომიტეტს სხდომებზე და ზრუნავს შეხვედრების დღის წესრიგსა და ოქმებზე;
- ეკოტურიზმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი;
- 2021/23 წლების სამოქმედო გეგმების აღსრულების საფუძველზე 2024 წლის შემდგომი სამოქმედო გეგმების შემუშავება. დავალებებისა და პროცედურების დამატებითი დეტალები შეიძლება განისაზღვროს საკოორდინაციო კომიტეტის დებულების დოკუმენტში.

5. გამოყენებული ლიტერატურა და დანართები

5.1. გამოყენებული ლიტერატურა

- ACT baseline survey for CENN (2019): Sustainable Forest Management for Rural Development. “Sustainable Forest Management for Climate Resilient Rural Development”
- APA (2015): Assessment and Development and Ecotourism Potential of the Protected Areas of Georgia. Strategy for tourism development in Protected Areas of Georgia.
- Balmford, A.; Beresford, J.; Green, J.; Naidoo, R.; Walpole, M.; Manica, A. A global perspective on trends in nature-based tourism. PLoS Biol. 2009, 7, e1000144.
- Bus, J. impact of attitude, materialism, and motivation. J.Res. 2015, 68, 1854–1861.
- CENN (2016): Assessment of the Recreational Potential of Georgian Forests. Sustainable Forest Governance in Georgia: Phase 2 project.
- CENN (2018): An institutional Model and Action Plan for Management of Recreational Forests in Georgia
- Denman, R; WWF international (2001).
- EPPEAR/ADA CaucaSust projects 2017-2020; Prospects for Sustainable Tourism Development in the Borough Stepantsminda. Case-study research and teaching report. TSU/ BOKU
- GEA and DEPA consulting for the GRETA project (2019): Baseline and Market Feasibility Study for Sustainable Mountain Tourism.
- Geostat. Tourism Survey 2017
- GNTA (2018, 2019): Georgian Tourism in Figures 2018, <https://gnta.ge/wp-content/uploads/2019/02/2018-ENG.pdf>; Georgian Tourism in Figures 2017, <https://gnta.ge/wp-content/uploads/2019/02/2017-ENG.pdf>
- GNTA (2019): Georgian Tourism in Figures 2018, <https://gnta.ge/wp-content/uploads/2019/02/2018-ENG.pdf>
- GNTA. Georgian Tourism in Figures 2016. Available at: gnta.ge/wp-content/uploads/2016/08/ENG.pdf
- Gugushvili, T.; Salukvadze, G.; Salukvadze, J. Fragmented development: Tourism-driven economic changes in Kazbegi, Georgia. Ann. Agrar. Sci. 2017, 15, 49–54.
- GNTA (2019): Georgian Tourism in Figures 2018, <https://gnta.ge/wp-content/uploads/2019/02/2018-ENG.pdf>.
- GNTA: Marketing, Branding and Promotional Strategy for Georgia. 2017
- Holden, A.; Sparrowhawk, J. Understanding the motivations of ecotourists: The case of trekkers in Annapurna, Nepal. Int. J. Tour. Res. 2002, 4, 435–446
- Hultman, M.; Kazemina, A.; Ghasemi, V. Intention to visit and willingness to pay premium for ecotourism: The International Ecotourism Society”. “What is Ecotourism? | www.ecotourism.org, Retrieved 2016-11-17.
- Katz, D. The functional approach to the study of attitudes. Public Opin. Q. 1960, 24, 163–204. [CrossRef]
- Khartishvili, L.; Muhar, A.; Dax, T.; Khelashvili, I. Rural Tourism in Georgia in Transition: Challenges for Regional Sustainability. Sustainability 2019, 11, 410.
- Luo, Y.; Deng, J. The New Environmental Paradigm and nature-based tourism motivation. J. Travel Res. 2008, 46, 392–402

-
- Marques, C.; Reis, E.; Menezes, J. Profiling the segments of visitors to Portuguese protected areas. *J. Sustain. Tour.* 2010, 18, 971–996. [CrossRef].
- Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia & NFA (2019): Forest Sector Communication Strategy and Action Plan 2020-2024
- Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia & NFA (2019): Georgia's Fifth National Report to the Convention on Biological Diversity
- Ministry of Economy and Sustainable Development & GNTA (2015) Georgia National Tourism Strategy 2025, Volume 1: Situation Analysis
- Ministry of Infrastructure and Regional Development of Georgia (2019): Strategy for the Development of Georgia's Mountain Settlements in order to ensure equal and sustainable development of Georgian regions (2019-2023)
- Panin, B.; Mbrica, A. Potentials of Ecotourism as a Rural Development Tool on the Base of Motivation Factors in Serbia; Institute of Agricultural Economics: Sofia, Bulgaria, 2014; p. 597.
- PIN (2016); Kazbegi Development Strategy 2016-2020 (p.21)
- Salukvadze, G., Gugushvili, T., Salukvadze, J., (2020) Spatial Peculiarities of Local Tourism Supply Chains in High-Mountainous Georgia: Challenges and Perspectives. *European Journal of Geography.*
- Smith, M.B.; Bruner, J.S.; White, R.W. *Opinions and Personality*; Wiley: New York, NY, USA, 1956.
- Tourism Sector in Kazbegi. PIN report (2015)
- Transboundary Joint Secretariat (2017): *Eco-tourism in and around Protected Areas in South Caucasus*
- Travel Res.* 2002, 40, 270–280.
- UNDP: *Ajara National Parks Sustainable Development Strategy*; GEF financed project: *Expansion and Improved Management Effectiveness of the Adjara Region's Protected Areas* (2015)
- UNWTO: <http://sdt.unwto.org/en/content/eco-tourism-and-protected-areas>
- Visitor survey provided by APA and GNTA, analysis of tourism marketing research documents (tourism marketing analysis, APAs and NFAs ecotourism development strategy documents).
- Weaver, D.B.; Lawton, L.J. *Overnight ecotourist market segmentation in the Gold Coast hinterland of Australia.*
- Wood, M.E. *Ecotourism: Principles, Practices and Policies for Sustainability*; The International Ecotourism Society: North Bennington, VT, USA, 2002.
- www.apa.gov.ge
- www.tjs-caucasus.org/?p=1506
- www.sakpatenti.gov.ge/ka/page/122/

5.2. დანართი 1: ლოგიკური სქემა

ხედვა:

„2030 წლისათვის საქართველო იქნება წამყვანი, ეკოტურისტული ქვეყანა კავკასიის რეგიონში, რომელიც მისი მდიდარი ცოცხალი კულტურისა და ბუნების, აგრეთვე, მაღალი ხარისხის მომსახურების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ოთხივე სეზონის ეკოტურისტულ შეთავაზებებს.

